ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

14 მარტი 2025

N148998

ქ. თბილისი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

შპს ,,ტიფლისი“-სთვის წერილობითი გაფრთხილების სახით

პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ

შპს ,,ტიფლისი“-ს მიერ (ს/ნ - 400232645) (შემდგომ - სუბიექტი) ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს (შემდგომ - სამსახური) 2023 წლის საანგარიშგებო პერიოდის ანგარიშგება 2024 წლის 1 ოქტომბერს წარედგინა.

სუბიექტის მიერ წარდგენილი ინფორმაციის თანახმად, იგი წარმოადგენს III კატეგორიის საწარმოს.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომ - კანონი) მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სამსახურმა განახორციელა წარდგენილი ანგარიშგების კანონითა და „ანგარიშგების ვებგვერდზე მომხმარებელთა რეგისტრაციის, სუბიექტების მიერ ანგარიშგების წარდგენისა და წარდგენილი ინფორმაციის გასაჯაროების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2019 წლის 21 მაისის №ნ-6 ბრძანებით დამტკიცებული წესით (შემდგომ - წესი) დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის გადამოწმება და გამოარკვია:

წესის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად „სუბიექტი, გარდა მეოთხე კატეგორიის საწარმოსი, ვალდებულია ანგარიშგების ატვირთვის ჩანართში ატვირთოს მისთვის კანონით დადგენილი ფინანსური ანგარიშგება, მმართველობის ანგარიშგება და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში აუდიტორული დასკვნა სრულად, ერთ დოკუმენტში, ხოლო ჯგუფის არსებობის შემთხვევაში, თუ სუბიექტი წარმოადგენს პირველი, მეორე ან მესამე კატეგორიის ჯგუფის მშობელ საწარმოს, ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში აუდიტორული დასკვნა სრულად, ერთ დოკუმენტში“. ამავე მუხლის მე-3- მე-5 პუნქტების მიხედვით, "ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ანგარიშგებებზე ხელმოწერის შესრულება/შტამპის დასმა ხორციელდება ელექტრონულად „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. სუბიექტის ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს/წესდებით, ან შესაბამისი მინდობილობით განსაზღვრულ პირს, ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ანგარიშგებებზე, გარდა ელექტრონული ხელმოწერისა, შეუძლია შეასრულოს პირადი ხელმოწერა. სუბიექტმა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშგებები უნდა ატვირთოს „pdf” ფორმატში, რომელშიც

შესაძლებელია ტექსტის ძიება, მონიშვნა და კოპირება, ხოლო ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ის გვერდები, რომლებზეც მოცემულია პირადი ხელმოწერები, დამატებით, წარმოდგენილი უნდა იყოს ამავე დოკუმენტში, შესაბამის ხელმოუწერელ გვერდებამდე ან გვერდების შემდგომ, დასკანერებულ „pdf" ფორმატში". სუბიექტის მიერ ატვირთული ანგარიშგება არ არის წარმოდგენილი ზემოაღნიშნულ ფორმატში, კერძოდ სუბიექტის მიერ ატვირთული ანგარიშგება არ არის კითხვადი.

ზემოაღნიშნული დარღვევა იწვევს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა" ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სუბიექტს მიეცეს წერილობითი გაფრთხილება;
2. სუბიექტს დაევალოს დარღვევის აღმოფხვრა ამ ბრძანების ოფიციალური წესით გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში;
3. ამ ბრძანების მე-2 პუნქტში მითითებული მოთხოვნის შეუსრულებლობა გამოიწვევს სუბიექტის დაჯარიმებას;
4. ეს ბრძანება ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით მჭედლიძე

სამსახურის უფროსი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხვედველობის სამსახური